

თვითმმართველი ქალაქის - ქუთაისის საკუთრებაში არსებული ქონების
რეგისტრაციის მონაცემებში ცვლილების შეტანის თაობაზე

„საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის“, „საჯარო რეესტრის შესახებ“, საქართველოს კანონის მე-8 მუხლისა და „ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულის ქონების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-8 მუხლის შესაბამისად,

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ :

1. შეტანილი იქნეს ცვლილება ნიკეას ქუჩა N11, მე-4 ავტოფროფილაქტიკის დასავლეთით, ფართობით 500.0 კვ.მ. (ამონაწერი N03.05.22.296) თვითმმართველობის საკუთრებაში რეგისტრირებული ავტოსადგომის საჯარო რეესტრის ამონაწერში და ფართობი გაიზარდოს 366.0 კვ.მ-ით და დაზუსტებული საზღვრებით დარეგისტრირდეს ავტოსადგომი მდებარე ნიკეას ქუჩა N11, მე-4 ავტოფროფილაქტიკის დასავლეთით, ფართობით 866.0 კვ.მ.
2. სარეგისტრაციო დოკუმენტაციის საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს ქუთაისის სარეგისტრაციო სამსახურში წარდგენის უფლებამოსილება მიენიჭოს ქ. ქუთაისის მერიის ადგილობრივი თვითმმართველობის ქონების მართვისა და პრივატიზების სამსახურის ქონების რეგისტრაციის განყოფილების წამყვან სპეციალისტს თეიმურაზ ერადეს (პირადი N60001079086).
3. ბრძანების შესრულების კონტროლი განახორციელოს ქალაქ ქუთაისის მერის მოადგილის მოვალეობის შემსრულებელმა კ. ქავთარაძემ.
4. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს კანონით დადგენილი წესით, ქალაქ ქუთაისის საკრებულოსა /რუსთაველის გამზ. N3/ და ქუთაისის საქალაქო სასამართლოში /ვიქტორ კუპრამის ქუჩა N11/, მისი გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.
5. ბრძანება ძალაში შედის კანონით დადგენილი წესით.

ქ. ქუთაისის მერის მოვალეობის
შემსრულებელი

შ. მურდულია